სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნების გამოცხადების შესახებ

1. 2021 წლის 30 დეკემბერს გამოცხადდა არჩევნები სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის თანამდებობის 4 წლის ვადით დასაკავებლად.
2. სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის არჩევნები ჩატარდება 2022 წლის 09 თებერვალს, 10.00-17.00 სთ.
3. კანდიდატი შეიძლება იყოს პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.
4. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ.ბათუმი, ზ.გორგილაძის/ვაჟა-ფშველას №19/32, ოთახი N103), 2022 წლის 31 იანვრიდან 2022 წლის 04 თებერვლის ჩათვლით, 10 საათიდან 16 საათამდე.
5. კანდიდატმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;

ე) ცნობა ნასამართლობის შესახებ (შენიშვნა: ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც ამავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება (კანონმდებლობის თანახმად ცნობის მოქმედების ვადაა 15 კალენდარული დღე, აღნიშნულიდან გამომდინარე საკონკურსო დოკუმენტაციის წარდგენის დღისათვის (რეგისტრაციის დღე) ცნობა უნდა იყოს მოქმედი);

ვ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი;

ზ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორის ან ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი;

თ) უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებაში არანაკლებ 3 წლის მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ი) ფაკულტეტის განვითარების კონცეფცია.